





უილიამ ტრევორი

# ნაწვიმარზე

დიდგენის  
ბიბლიოთეკა

უილიამ ტრევორი  
ნანაწიბარზე

William Trevor  
AFTER RAIN

ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ქილაძემ და გია ჭუმბურიძემ



წიგნი გამოიცა Literature Ireland-ის ფინანსური მხარდაჭერით.

გარეკანზე: ედვარდ ჰოპერის „ავტომატი“ (ფრაგმენტი)

© William Trevor, 1996  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2020  
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-608-7

[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

## სარჩევი

პიანინოს ამწყობის ცოლები.....	7
მეგობრობა .....	26
ტიმოთის დაბადების დღე.....	51
ბავშვური თამაში.....	72
კარტოფილით მოვაჭრე .....	87
წვრილმანი საქმე.....	107
ნანვიმარზე.....	124
ქვრივები .....	145
გილბერტის დედა.....	167
ფეხქვეშ გამოცლილი საყრდენი .....	188
ერთი დღე .....	231
დემიენზე დაქორწინება .....	245



## პიანინოს ამწყობის ცოლები

ვაიოლეტი პიანინოს ამწყობს მაშინ გაჰყვა ცოლად, როცა ის ჯერ მთლად ახალგაზრდა კაცი იყო, ბელი კი – უკვე ხანმოთუფლს.

მეტი არც არაფერია სათქმელი, რადგან ვაიოლეტი რომ შეირთო, ამით პიანინოს ამწყობმა უარი თქვა ბელზე, რაც ყველას კარგად ახსოვდა ამ მეორე ჯვრისნერის დროს. რა გინდა, ნასუფრალით მაინც ხომ იხეირაო, – თქვა ბელზე ერთ-ერთმა მეზობელმა, თანაც ყოველგვარი ნიშნის მოგების გარეშე; უბრალოდ, საკუთარი თვალსაზრისი გამოხატა. მომხდარს სხვებიც ამნაირადვე აღიქვამდნენ, მაგრამ უმრავლესობა ალბათ მაინც სხვაგვარად იტყოდა სათქმელს. პიანინოს ამწყობს ჭალარა თმა ჰქონდა და ყოველი განვლილი, ნესტიანი ზამთრის შემდეგ მუხლის ართროზიც სულ უფრო უმწვავდებოდა. ერთ დროს ტანადი, ახლა მხრებში მოხრილიყო და თვალიც ისევ ისევე არ უჭრიდა, როგორც ვაიოლეტთან ქორწინებისას – 1951 წლის 7 ივნისს, ხუთშაბათ დღეს. ახლანდელ აჩრდილებს კი, რომელთა შორისაც ცხოვრობდა, აღარც იმდროინდელი სიმკვეთრე შერჩენოდათ და აღარც სიმკვრივე.

– თანახმა ვარ, – თქვა პასუხად სენტ-კოლმენის პატარა, პროტესტანტულ ეკლესიაში, სადაც თითქმის ზუსტად ისევე იდგა, როგორც ადრე, იმ სხვა ნაშუადღევს. 59 წლის ბელიც სწორედ იმ სიტყვებს იმეორებდა, რაც ამავე საკუთრთხეველთან წარმოეთქვა ერთ დროს მის მეტოქეს. მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა: ეკლესიაში მყოფთაგან ვერავინ იტყოდა, ვაიოლეტის ხსოვნას სათანადო

პატივი არ მიაგეს და მისი გარდაცვალებაც გულწრფელად არ იგლოვოსო.

– ...ჭირსა და ლხინშიც... – წარმოთქვა პიანინოს ამწყობმა, მისმა ახალმა ცოლმა კი გაიფიქრა, მაინც ბევრად მერჩინა დღეს ღვინისფერის ნაცვლად თეთრი კაბა მცმოდაო. იმ პირველ ქორწინებას არ დასწრებია, თუმცა მიწვეული კი გახლდათ. იმ დღეს ათასი საქმე გაიჩინა, საქათმეც კი შეათეთრა კირით, თუმცა ამ დროსაც სულ ჩუმ-ჩუმად სლუკუნებდა. ეგეცაა, ნამტირალევიც კი ბევრად უფრო ლამაზი და თან თითქმის ხუთი წლით ახალგაზრდა იყო იმ პატარძალთან შედარებით, ვისაც წამითაც ვერ ივინყებდა, რა მონდომებითაც უნდა ეცადა ეჭვიანობას გამკლავებოდა. და მაინც იმან ვაიოლეტი ამჯობინა, ანდა სახლი, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს ვაიოლეტის საკუთრება უნდა გახდარიყო – გამწარებულ ბელს საქათმეში საქმიანობისას ეს აზრიც დაებადა და კიდევ – ის ცოტაოდენი ფული, დიდად სახეიროდ რომ ესახება უსინათლო კაცსო. ესეც გასაგებიო, მოგვიანებით ეუბნებოდა ხოლმე საკუთარ თავს, როცა ხედავდა, როგორ უწევდა მეგზურობას ვაიოლეტი ამ ბრმა კაცს; როცა ახსენდებოდა, როგორ ევლებოდა თავს და როგორ უმსუბუქებდა ცხოვრებას. მაგრამ იმავეს გაკეთება ხომ თვითონაც არანაკლებ შეეძლო!

ეკლესიიდან მომავალ ხალხს ბახის მუსიკა მოაცილებდა. ორგანზე ვიღაც სხვა უკრავდა, თორემ ისე სხვა დროს ეს საქმე იმდღევანდელ ნეფეს ებარა. ხალხი ერთხანს მომცრო რუხი შენობის ეზოში შეეკონდა. პატარ-პატარა ჯგუფებად იდგნენ გაბნეულ საფლავებს შორის, რომელთაგან ორში პიანინოს ამწყობის დედ-მამა ესვენა, კიდევ რამდენიმეში კი – მისი სხვა წინაპრებიც, მამის მხრიდან. მოწვეულ სტუმრებს, ვინც ორი მილის გავლას არ დაიზარებდა და შინაც ეწვეოდა ახალდაქორწინებულებს, ჩაითა და ცოტაოდენი სასმელითაც გაუმასპინძლებოდნენ, თუმცა უმრავლესობა იქვე დაემშვიდობა ნეფე-პატარძალს და წყვილს ბედნიერი ცხოვრება უსურვა. პიანინოს ამწყობი რიგრიგობით ეხებოდა ნაცნობ ხელებს და გონების თვალთ იმ სახეებსაც ხედავდა, მის პირველ ცოლს



რომ აღენერა მისთვის. ახლაც ზაფხულის მიწურული იდგა, ისევე როგორც მაშინ, 1951-ში. მზე შუბლსა და ლოყებზე აცხუნებდა და, სქელი საქორწინო სამოსის მიუხედავად, ტანზეც გრძნობდა მის სიმხურვალეს. ეს სასაფლაო ბავშვობიდანვე კარგად ნაცნობი იყო მისთვის: სწორედ აქაურ საფლავის ქვებზე სწავლობდა კითხვას და დედას დამარცვლით უმეორებდა მამის ოჯახის გარდაცვლილ წევრთა გვარ-სახელებს. მას და ვაიოლეტს შვილი არ შესძენიათ, არადა ბავშვები ორივეს ძალიან უყვარდა. ამბობდნენ, ვაიოლეტს შვილის მაგივრობასაც ქმარი უწევსო და ამის გაგონება ყოველ ჯერზე ბელის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევდა. იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ თვითონ უთუოდ გაუჩენდა შვილებს.

– მომავალ თვეში თქვენთან ვარ მოსასვლელი, – შეახსენა ხანდაზმულმა ნეფემ ქალბატონს, ვისი თითებიც ჯერ ისევ ხელში ეჭირა, იმ ერთადერთი „სტივინვის“ პატრონს, რომელიც ოდესმე აენყო ცხოვრებაში. ქალი როიალზე შესანიშნავად უკრავდა და როცა კი ასაწყობად მასთან მიდიოდა ხოლმე, სთხოვდა, ჩემთვის რამე შეასრულეთო; არწმუნებდა, ამაზე უკეთესი გასამრჯელო არ არსებობსო. მაგრამ ქალი კუთვნილი თანხის გარეშე მაინც არასოდეს ისტუმრებდა.

– მე მგონი, ორშაბათს უწევს, სამ რიცხვში.

– სწორედ ასეა, ჯულია.

თავად ქალი ყოველთვის – ბატონო დრომგულდო – ასე მიმართავდა ხოლმე. ჰქონდა ამ კაცს რალაც ისეთი, რაც სხვებს მასთან ზედმეტად გაშინაურების საფუძველს არ აძლევდა. ხშირად მაინც უფრო *პიანინოს ამწყობად* იხსენიებდნენ ხოლმე, მის საქმიანობას უსვამდნენ ხაზს და თან ამნაირადაც გამოხატავდნენ პატივისცემას მისი გამორჩეული ნიჭის მიმართ. ისე, საქმიანობა საქმიანობად და ამ კაცის სრული სახელი და გვარი ოუენ ფრენსის დრომგულდი გახლდათ.

– ამინდიც მშვენიერი დაგვესწრო, – უთხრა მრევლის ახალმა, ასაკით ჯერაც ახალგაზრდა მწყემსმა. – თავსხმა წვიმას აცხადებდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად.

– ცა...

– მოკრიალბულია, ბატონო დრომგულდ. სრულიად უღრუბლო.

– იმედია, შინაც გვეწვევით.

– ყოველ მიზეზ გარეშე! – თავი გამოიდო ბელმაც, მერე შეტრიალდა და სასაფლაოზე შეეჯგუფული ხალხისკენ გაემართა სწრაფი ნაბიჯით. უნდოდა, სხვებიც დაეპატიჟა, რადგან წვეულების გამართვა მტკიცედ ჰქონდა გადანყვეტილი.

ცოტა მოგვიანებით, როცა ეს ახალი ქორწინება ჩვეულებრივი ყოველდღიურობის კალაპოტში ჩადგა, ხალხმა ახლა იმაზე დაიწყო მარჩიელობა, როდის დაფიქრდება პიანინოს ამწყობი საქმისთვის თავის დანებებაზეო. რაკი მუხლიც აწუხებდა და სიბერეში საბოლოოდაც დაბრმავებულიყო, მის ამგვარ გადანყვეტილებას სრული გაგებით მოეკიდებოდნენ ყველა იმ ოჯახში, სამრევლო თემსა თუ სასწავლო დაწესებულებაში, სადაც ადრე საკუთარ ნიჭსა და უნარს ავლენდა. მოსვენება მართლაც ეკუთვნოდა და ღმერთისგან მოზომილი წლებიც სავსებით დაემსახურებინა. თუმცა, როცა ხანდახან ვინმე უნებურად თუ შეგნებულად ჩამოუგდებდა ამაზე სიტყვას, სრულიად გულწრფელად უარობდა – მსგავსი არასოდეს არაფერი მიფიქრია და მხოლოდ სიკვდილი თუ ამაღლებინებს ხელს ჩემს ხელობაზეო. საქმე ის გახლდათ, რომ საკუთარი ხელობის გარეშე ნამდვილად უაზრობად ექცეოდა ცხოვრება; სხვა რა უნდა ეკეთებინა, თუკი აღმა-დაღმა არ ივლიდა და დაახლოებით ექვს თვეში ერთხელ მაინც ხელახლა არ ჩავიდოდა რომელიმე იმ პატარა ქალაქში, რომლის მცხოვრებლებსაც ამდენი ხნის მანძილზე ემსახურებოდა პატიოსნად. თქვენ არ იდარდოთო, – პირდებოდა ყველას, – ისევ დაინახავთ ჩემს თეთრ „უოქსჰოლს“ რომელიმე ფერმის ან ეკლესიის ეზოში, ანდა როგორ იდგება სადმე შემადლებულზე, სანამ სადილობისას ორიოდე სენდვიჩს შევექცევი და თერმოსიდან ცოლის ჩამოსხმულ ჩაის მივაყოლებო. არადა, ვაიოლეტის გარეშე ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა. ცოლად რომ შეირთო, ჯერ

ისევ დედასთან ერთად ცხოვრობდა, ბარნეგორმ-ჰაუზის შორიახლოს. მაშინ დაიწყო პიანინოების აწყობაც – ორი თავად ბარნეგორმ-ჰაუზში ააწყო, ერთი ქალაქ ბარნეგორმში და ერთიც ფერმაში, სადამდეც ოთხი მილი ჰქონდა სასიარულო. მაშინ ამას ძირითადად უსასყიდლოდ აკეთებდა, რადგან მხედველობა იმთავითვე არ უვარგოდა; ხანდახან სკამებისა და წყალმცენარეებით დატენილი სავარძლების შეკეთებაც უწევდა ხოლმე, რასაც თანდათანობით კარგადაც დაეუფლა, ზოგჯერ კი ამა თუ იმ ლონისძიებაზე იმ ვიოლინოზე დაკვრასაც სთხოვდნენ, ჯერ კიდევ ბავშვობაში რომ უყიდა დედამ. მაგრამ ვაიოლეტი რომ შეირთო, მისი ცხოვრებაც ძირფესვიანად შეიცვალა. ცოლიც თავიანთ პატარა სახლში მიიყვანა და მართალია, რძალ-დედამთილი ყოველთვის ყველაფერში ერთმანეთს არ ეთანხმებოდა, თანაცხოვრებას მაინც ახერხებდნენ. ვაიოლეტს საკუთარი ავტომობილი ჰყავდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შეეძლო ქმარი ნებისმიერ ადგილას მიეყვანა, სადაც კი პიანინოს მიაგნებდა – როგორც წესი, კარგა ხნის ხელუხლებელს. უამრავი სახლი მოიარეს ორმოცი მილის რადიუსში, ანაზღაურების ოდენობა იმთავითვე ვაიოლეტმა დაუდგინა – სანვავის, საბურავებისა თუ მანქანის სხვა ნაწილების ხარჯისა და ცვეთის გათვალისწინებით. მანვე მოიფიქრა ჭკვიანურად და საგანგებო დავთარში იწერდა ყოველი მომდევნო მისვლის თარიღს. ცოლი იმასაც მიხვდა, რომ ვიოლინოზე დაკვრითაც შეიძლებოდა მეტი ხეირი ენახათ და თავადვე იზრუნა, რომ მისი ქმარი არც ერთ საჯარო დაწესებულებასა თუ ზედ გზაჯვარედინებზე ზაფხულობით გამართულ არც ერთ წარმოდგენას არ გამოკლებოდა; ასეთები კი 1951 წელს ჯერ კიდევ ხშირად იმართებოდა ხოლმე. ოუენ დრომგულდსაც ისე უყვარდა თავისი ვიოლინო, მისი ახმიანების შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდა – სულერთი იყო, გადაუხდინენ ამაში რამეს თუ არა. მაგრამ ვაიოლეტს მუქთად დაკვრა სულ არ უჯდებოდა ჭკუაში.

მოკლედ, პირველი ქორწინება თავისი საქმიანი გზით მიდიოდა, ხოლო როცა ბოლოს და ბოლოს, ვაიოლეტს მამისგან მემკვიდრეობით სახლი დარჩა, ქმარიც იქ გადაიყვანა საცხოვრებლად. ადრე

ეს სახლი ფერმაში იდგა, მაგრამ მაშინ უკვე აღარ, რადგან ძველ დროს ირგვლივ მდებარე მიწა, რაც ფერმის სახელს გაამართლებდა, ოჯახის არაერთი თაობის სასმელისადმი გაუნელებელ სიყვარულს შესწირვოდა მსხვერპლად. თუმცა თავად ვაიოლეტი მსგავსი მიდრეკილებებისაგან შორს იყო.

– ახლა მითხარი, აქ რა არის? – ხშირად ეკითხებოდა ქმარი ახალ გარემოში დაბინავების პირველ ხანებში და ვაიოლეტიც დაწვრილებით უამბობდა იმ სახლის შესახებ, სადაც ქმარი გადმოეყვანა. სახლი გზის პირას, მთების ძირში იდგა, რომლებსაც გარკვეული განათების პირობებში მოცისფრო ფერი ედებოდა. დაწვრილებით აღუწერდა თითოეული ოთახის კუთხე-კუნჭულსა თუ ხის დარაბების თავისებურებებს, ხმაურთანად რომ კეტავდა ხოლმე, როცა აღმოსავლეთის ქარი დაუბერავდა და ერთ დროს საჯალაბოდ ნოდებულ ოთახში დანთებული ბუხრის ცეცხლსაც ააფორიაქებდა. ზედმიწევნით ზუსტად უხატავდა სიტყვით კიბეებზე დაფენილი ნოხის ნაყუმებსაც, სამზარეულოს კარადის თეთრ-ცისფერ ფაიფურსა თუ სახლის მთავარ შესასვლელ კარს, არასოდეს რომ არ იღებოდა... ქმარსაც ძალიან უყვარდა ამ ყველაფრის მოსმენა. დედამისს, რომელიც ბოლომდე მაინც ვერ შეეგუა ვაჟიშვილის ბუნებრივ ნაკლს, გულფიცხოვა ახასიათებდა; რაც შეეხება მამას, ბარნეგორმ-ჰაუზის მეჯინიბეს, სადღაც დანადგარდანილს, ისე დაელია სული, რომ შვილის დაბადებასაც ვერ მოსწრებოდა. მწვეარივით ხმელ-ხმელი ყოფილაო, ასე უხასიათებდა ვაიოლეტი ცხონებულ მამამთილს საკუთარ ქმარს ერთადერთი შემორჩენილი ფოტოსურათის მიხედვით.

ვაიოლეტი, თავისი წარმოსახვის კარნახით, ბარნეგორმ-ჰაუზის დიდ, ცივ დარბაზსაც უხატავდა ხოლმე:

– ახლა კიბისკენ მივდივართ და გზად მაგიდას შემოვუარეთ, რომელზეც ფარშევანგის ფიტული წამომართულა... ვეება მოვერცხლისფრო ჩიტია, მისთვის ფრთებში ფერადი შუშის ნამცვრევები ჩაუყოლებიათ, ვითომ და ნახეთ, რა ლამაზი ბუმბული აქვსო. მართლა სულ მწვანედ და ლურჯად უბრჭყვიალებს, – ეუბნებოდა

ქმარს, რომელიც ამ ფრთოსნის ფერზეც ეკითხებოდა. რა თქმა უნდა, ისიც მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ ასე თვალისმომჭრელად მართლა შუშა ბრჭყვიალებდა და არა რამე ძვირფასი თვალი, რადგან ერთხელ, როცა მისი ქმარი სასტუმრო ოთახში თავგამოდებით ცდილობდა საშინლად აშლილი როიალის ანყოზას, ეს თავად მასპინძლებმა უთხრეს. ზევით ამაველი კიბე მიხვეულ-მოხვეული იყო, ეს კი მის ქმარსაც კარგად მოეხსენებოდა, რადგან ბევრჯერ ასულ-ჩამოსულა ზედ ბავშვების ოთახში მდგარი „ჩეპელის“ პიანოლას ასანყოზად. კიბის პირველი ბაქანი გვირაბივით ბნელიაო, – ეუბნებოდა ვაიოლეტი. – მერე კი აქეთ-იქით ორი ტახტი დგას და კედლებზე ბნელში ძნელად გასარჩევი, მოლუშული ადამიანების პორტრეტები კილიაო.

– ახლა დუსიში ვართ, – ეტყოდა ხოლმე ვაიოლეტი. – მამა ფილი ბენზინს ასხამს მანქანაში.

დუსიში „Esso“-ს ბენზინგასამართი სადგური იყო და მისმა ქმარმაც იცოდა, როგორ გამოიყურებოდა იმისი აბრა. ერთხელ საგანგებოდ ეკითხა და ამომწურავი პასუხიც მიეღო. აბრის წარწერისთვის ორი სხვადასხვა ფერი გამოეყენებინათ, ხოლო ასოებისთვის მისთვისაც კი იოლად აღსაქმელი მოხაზულობა მიეცათ. ვაიოლეტის თვალებითვე ხედავდა ოგჰილის გარეუბანში მდგარი მაკ-კირდისების სახლის უდიდამო ფასადს, კილიათელი წიგნით მოვაჭრის მუჯვე სახეს, ხედავდა გარდაცვლილი დედის დახუჭულ თვალებსა და გულზე დაკრეფილ ხელებს; ხედავდა ზოგჯერ ლურჯ, ზოგჯერ კი ნისლით გარუხებულ მთებსაც.

– ლიმნისფერს კაშკაშას ნამდვილად ვერ დაარქმევ, – ეუბნებოდა ვაიოლეტი. – უფრო ჩალის, ანდა სოფლური კარაქის ფერს ჰგავს, კარგად ადღვებილის.

ქმარიც თავს უქნევდა, უხვდებოდა ნათქვამს. ვაიოლეტის აღწერილ მთებს მოლურჯო ბოლის ელფერი დაჰკრავდა, ადღვებილი კარაქი კი შუაში მონარინჯისფრო-მონითალოდ მუქდებოდა. მართალია, ბოლზეც ისეთივე წარმოდგენა ჰქონდა, რაც სხვა დანარჩენზე, მაგრამ ფერებსაც მათი სახელების ჟღერადობის მიხედვით

ასხვავებდა ერთმანეთისაგან. დაბეჯითებით ამტკიცებდა, ვიცი, რაცაა წითელი, ბგერების მიხედვით ვხვდები, ნარინჯისფერს კი გემოც შეგიძლია გაუსინჯო. მართლა ხედავდა წითელს „Eссо“-ს აბრაზე და ყვითელში შერეულ ნარინჯისფერსაც არჩევდა. ამაში ჩალისა და სოფლური კარაქის ხსენებაც დაეხმარა, ხოლო როცა ვაიოლეტმა ბ-ნი უიტენი დიდ უხიაგ ვინმედ მოიხსენია, ეს მისი წარმოსახვისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. მავანი დედა-წინამძღვარი მისთვის პირქუში ქალი გახლდათ; ენ კრეიგი – თვალეზ-ჟუჟუნა; მხერხავი ტომასი – ფეთხუმი; ბეთ კონლონს კი ზუსტად მერიკების სპანიელივით შუბლი ჰქონდა, უთუოდ რომ ეფერებოდა ხოლმე ზედ იმათი პიანინოს ასაწყობად მისული.

მეორე ცოლის შერთვამდე, დაქვრივებული პიანინოს ამწყობი მარტო ცხოვრობდა. საკრავების ასაწყობადაც მისსავე მუშტრებს დაყავდათ მანქანით თავ-თავიანთ ოჯახებში და საყიდლებზე სიარული იყო თუ სახლის საქმის გაძლოლა, ამაშიც ისინი ეხმარებოდნენ. გრძნობდა, რამდენ ზედმეტ თავსატეხს უჩენდა ხალხს და ისიც იცოდა, როგორ არ მოეწონებოდა ეს ყველაფერი ვაიოლეტს. მაგრამ მას არც საკუთარი ხელით ერთხელ აწყობილი საქმის მიტოვება გაახარებდა, თუნდაც იმქვეყნად გადაბარებულს. როგორ ამაცობდა, მისი ქმარი ორგანზეც რომ უკრავდა სენტ-კოლმენის ეკლესიაში... იცოდე, მაგ საქმეს თავი არასოდეს მიაწებოო, – უთხრა ცოტა ხნით ადრე, ვიდრე უკანასკნელ სიტყვებსაც ამოიჩურჩულებდა და მისი ქმარიც ახლა უკვე მარტო დაიარებოდა ეკლესიაში. თითქმის ორი წელი იყო გასული, როცა ერთ კვირადღეს ბელთან სასიყვარულო ურთიერთობა წამოიწყა.

მას მერე, რაც უარყვეს, ბელი ვერაფრით მოერია ეჭვიანობას. ისიც უკლავდა გულს, მისი გარეგნობის პატრონს ვაიოლეტი რომ ამჯობინეს, ხოლო კაცისთვის თვალისჩინის დაკარგვა როგორც სასჯელი, საკუთარ სასჯელადაც მიაჩნდა. ისე, სხვას რას დაარქმევდი, სასჯელის გარდა, იმ სიბნელეს, რომელშიც უსინათლოს

უნევს არსებობა? სასჯელი იყო აბა რა, როცა მისი სილამაზეც ამ სიბნელეს ეწირებოდა მსხვერპლად! და მინც, სასჯელი არანაირი ცოდვის საფასური არ ყოფილა და ის და ოუენ დრომგულდიც მშვენიერი წყვილი შეიძლებოდა ყოფილიყო. ეგ კი არა, დიდსულოვნების გამოვლენაც იქნებოდა, თუ მისი სილამაზე ამის აღქმის უნარს მოკლებულ კაცს ერგებოდა საჩუქრად.

არადა, შინაბერობის განცდა გაუნელებელ სანუხარად გადაქცეოდა. თავიდან საკუთარ მალაზია-სახელოსნოში ჯერ მამას, შემდეგ კი ძმას ეხმარებოდა, სადაც კედლისა თუ მაჯის საათებს უკირკიტებდა, ანდა სპორტულ ჯილდოებზე წარწერების ამოტიფვრით იყო დაკავებული. ერთადერთი დახლის იქით მდგომისათვის, ყველაზე დაძაბული შობისწინა დღეები იყო ხოლმე, სხვა დროს კი ხალხი უფრო შუშის მოხატულ ჭურჭელსა და ბარომეტრებს ეტანებოდა საქორწინო საჩუქრებად, ნაკლებ საზეიმო შემთხვევებისთვის კი – სანთებულებსა და იაფფასიან სამშვენიისებს. დროთა განმავლობაში კედლისა თუ მაჯის საათებს გამართული მუშაობისთვის მხოლოდ ელემენტების დროულად შეცვალა სჭირდებოდა და სახელოსნოს არსებობამაც თავისთავად დაკარგა აზრი. ასე გადიოდა დრო და მთელ ქალაქში არავინ გამოჩნდა იმ კაცის ბადალი, ასე უსინდისოდ რომ წაერთმიათ ბელისათვის.

ბელი იმავე შენობის მეორე სართულზე დაიბადა, ხოლო როცა სახლიცა და მალაზიაც მისი ძმის საკუთრება გახდა, საცხოვრებელი ადგილი მინც არ შეუცვლია. ძმა მრავალშვილიანი ოჯახის პატრონი იყო, მაგრამ ბელი არავის შეუვიწროებია და არც მალაზიაში ადგილის შემცილებელი გამოსჩენია. ათი წელი რომ შეუსრულდა, უკანა ეზოში ქათმები მოამრავლა და ერთგულად უვლიდა კიდეც. ცხოვრების მუდმივ თანამდევად ქცეულმა იმედგაცრუებამ ძმისშვილებთან მის ურთიერთობასაც დააჩნია კვალი. როგორც ხალხი ამბობდა, ეს იმედგაცრუება მზერაშიც გამოსჭვიოდა, რაც მის სილამაზეს ერთგვარ იდუმალეზას მატებდა. როცა ერთხელ მის უარმყოფელ კაცთან სასიყვარულო ურთიერთობა წამოიწყო, ძმამ და რძალმა ეს დიდ შეცდომად ჩაუთვალეს, თუმცა ხმამაღლა არა-

ფერი უთქვამთ, მხოლოდ ხუმრობით ჰკითხეს – მზითვში ქათმებ-საც ხომ არ გაიყოლებო.

იმ კვირა დღეს, როცა თითო-ოროლა მლოცველი ეკლესიიდან გაიკრიფა, ეს ორნი ეზოში დარჩნენ და საუბარი გააბეს.

– მოდი, საფლავებს გიჩვენებ, – უთხრა კაცმა, თავდაჯერებით გაუძღვა წინ მოზრდილ ბალახში და პირველივე საფლავის ქვას ხელი გადაუსვა. – ეს ბებიაჩემის, მამაჩემის დედის საფლავიაო, – თქვა და წამით ბელსაც მოუნდა, თავადაც შეეგრძნო ქვაზე ამოტ-ვიფრული ასოები და მარტო მზერით არ აღექვა. საფლავებს შორის მიდი-მოდიოდნენ და ორივემ იცოდა, შინ წასულ ყოველ მლოც-ველს რომ შეემჩნია მათი იქ მარტო დარჩენა. ვაიოლეტის გარდაც-ვალების შემდეგ დრომგულდი ეკლესიაში ყოველდღე დაიარებოდა ფეხით, მხოლოდ წვიმიან ამინდში გამოუვლიდა ხოლმე მანქანით ის კაცი, რომელსაც წირვა-ლოცვაზე ქალბატონი პარტილი დაჰყავდა და მერე უკანაც ის აბრუნებდა.

– ხომ არ გავისეირნოთ, ბელ? – ჰკითხა, როცა ყველა თავისი უშუალო წინაპრის საფლავი მოახილვინა და ქალიც მაშინვე დაეთან-ხმა.

გათხოვილ ბელს მზითვში მართლა არ წაუყვანია ქათმები, ისედაც საკმარისად ველოლიავეო, – თქვა. მოგვიანებით კი ინა-ნა, რადგან რისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი ერთ დროს ვაიო-ლეტის სახლში, მუდამ ისეთი განცდა ჰქონდა, რომ ეს ყველა-ფერი მის წინამორბედსაც უკვე უამრავჯერ გაეკეთებინა. როცა, ვთქვათ, სამზარეულოს იმავე ნათურის ქვეშ იმავე ფიცარზე და იმავე დანით ჭრიდა ხორცს, რითაც მანამდე ვაიოლეტი, საკუთარ თავს მის ასლად აღიქვამდა. თვითონ სტაფილოს სახეხზე ხეხავ-და, რადგან დარწმუნებული იყო, ვაიოლეტი უთუოდ წვრილად კე-პავდაო. ახალი ხის კოვზებიც შეიძინა, იმიტომ რომ ვაიოლეტის ნახმარი ერთიანად გამომხარიყო და გალეულიყო. მერე კიბის რი-კულებიც გადაღება და შემოსასვლელი კარის შიდა მხარეც, თუმ-



ცა ის არასოდეს იღებოდა. ხელი მოუსვა და ერთიანად ნაგავში გადაუძახა განჯინაში ნაპოვნი ქალების ჟურნალების მთელ დასტას. იოლად შეელია თუჯის დიდ ტაფასაც, რადგან, მისი აზრით, ასეთი რამის ხმარება მთლად მოსაწონიც ვერ იყო. სამზარეულოს იატაკისთვის ახალი ფილებიც შეუკვეთა, თუმცა უკანა ეზოში ყვავილნარისთვის ხელი არ უხლია – პირიქით, გამომარგლა კიდეც, ვინმე სტუმრად მოსულს რომ არ ეფიქრა, მთლად გაუპარტახებიათ აქაურობაო.

მოკლედ, ერთთავად არჩევანის წინაშე იდგა – რა შეეცვალა და რა დაეტოვებინა უწინდებურად. ვითომ ვაიოლეტისთვის დათმობად ჩაეთვლებოდა, თუ მის ყვავილებს მოუვლიდა? ანდა გულნამცეცობად მიიჩნევდა ვინმე, თუ იმის ტაფასა და ხის კოვზებს სანაგვეში გადაუძახებდა? არადა, როგორც უნდა მოქცეულიყო, მერე მაინც სულ ეჭვის ჭია ღრღნიდა. ვერსად გაექცა სიცოცხლის ბოლოს გასუქებული, ერთიანად გაჭალარავებული ვაიოლეტის ხატებას, რომელსაც ხორციან სახეზე კიდეც უფრო წვრილად მოუჩანდა თვალები და მბრძანებლური, ყველაფრით უკმაყოფილო იერიც დასდებოდა. მათი უსინათლო, საზიარო ქმარი კი თავისთვის უდარდელად ახმიანებდა ვიოლინოს გვერდზე ოთახში; წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა უგემოვნოდ იცვამდა მისი პირველი ცოლი, როგორ უშნოდ გასუქებულიყო, როგორი მოუქნელი გამხდარიყო და როგორ მიეშვა ნებაზე საოჯახო საქმე. ბელს კი ის ქალი მოენელებინა, ახლა თვითონ დაეკავებინა იმისი ადგილი, მისი კუთვნილი ნივთებიც დაენარჩუნებინა, მის საწოლშიც ეძინა და იმისი მანქანის საჭესაც თავად მისჯდომოდა. წესით, მეტი რალა უნდა ენატრა? თითქოს აისრულა საწადელი, თუმცა დრო გადიოდა და ბელსაც ერვენებოდა, საბოლოოდ ხელმოსაჭიდი არც არაფერი შემრჩაო – ისე ჩანდა, მის ქმარს უბრალოდ წინა, ორმოცწლიანი ქორწინებისას გაკვალულ გზაზე ერთხელ კიდეც თავიდან შეედგა ფეხი, იმ ძველი ჩვევებისა და ჩვეულებების ერთგულს.

ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ, როცა გზაში მანქანიდან გადმოუსვლელად წაიხემსეს, კაცმა ჰკითხა:

- ხომ მეტყვი, ძალიან თუ გაგიჭირდება?
- რა უნდა გამიჭირდეს, ოუენ?
- მანქანით ასე ალმა-დალმა ჩემი ტარება. კარდაკარ სიარული, უსაქმოდ ჯდომა და იმის მოსმენა, როგორ ვაწყობ პიანინოს...
- ეგ არასდროს მომბეზრდება.
- კარგი ადამიანი ხარ. ძალიან მომთმენი.
- მე მგონი, დიდიც არაფერი.
- ვგრძნობდი, იმ კვირას ეკლესიაში რომ იყავი. ორგანზე ვუკ-რავდი და შენი სუნამოს სუნი მცემდა.
- ის კვირადლე არასდროს დამავიწყდება.
- იცი, როდის შემეყვარდი? როცა საფლავების მონახულებას დამთანხმდი.
- მე კი ბევრად უფრო ადრე.
- არ მინდა, ამ ჩემი პიანინოებით თავი მოგაბეზრო. ხომ იცი, შემოძლია სულაც შევეშვა ამ საქმეს.

*ჩემ გამო მართლა შეეშებოდაო, – მაშინვე გაიფიქრა ბელმა. მერე გაახსენდა რომ უთხრა – მე აბა რალა უნდა მივცე ქალს ამ მიხრწნილმა, უსინათლო ბერიკაცმაო. ისიც გაუმხილა, თურმე პირველად რომ მოსდომებია ბელისთვის ხელის თხოვნა, ორი თვე უყოყმანია, რადგან თვითონ უკეთ იცოდა, რა შარშიც გაყოფდა თავს ქალი თანხმობის შემთხვევაში. რამდენიმე წლის წინ ვაიოლეტისთვისაც უკითხავს, ახლა როგორ გამოიყურება ბელიო; იმას თავიდან არაფერი უპასუხია, მერე კი უთქვამს, ისევ ისე, პატარა გოგოსავითო.*

- არ მინდა, საქმეს რომ შეეშვა, ოუენ. არც ახლა და არც არასდროს.

- ოქროს გული გაქვს, ბელ. ახლა ამაზეც არ დამიწყო კამათი.

- ასე მეც ბევრ რამეს ვნახულობ და ვისმენ; ბევრად მეტს, ვიდრე ოდესმე. ჯერ მარტო რამდენი ქუჩა და სახლი ვნახე, რომელთა არსებობაზე წარმოდგენაც კი არ მქონდა, რამდენი ახალი ქალაქი მოვიარე, რამდენი ადამიანი გავიცანი... ადრე სად მქონდა მაგის შესაძლებლობა!

სიტყვა უნებურად დასცდა, თუმცა არც ამას ჰქონდა მნიშვნელობა. მის ქმარს არაფერი უპასუხია, არაფრით გამოუხატავს, ნათქვამის მნიშვნელობას თუ მიუხვდა, რადგან მსგავსი რამ საერთოდ არ სჩვეოდა. როცა ეკლესიასთან კვირას იმ პირველი საუბრის შემდეგ კიდევ რადენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს და უფრო დაახლოვდნენ, კაცი გამოუტყდა – შენზე ბევრს ვფიქრობდი, წარმოვიდგენდი, როგორ იდექი დახლთან შენი ძმის მაღაზიაში და როგორ ახვევდი ქალაღში საჩუქრებს, როგორც ერთხელ მეც გამიხვია დაბადების დღეზე ვაიოლეტისთვის ნაყიდი მაჯის საათით. თურმე იმასაც წარმოვიდგენდა, როგორ კეტავდა საღამოობით ბელი მაღაზიის დარაბებს, მერე კი ზემოთ, თავის ბინაში ადიოდა და თავისიანებთან ერთად ატარებდა დროს. დაქორწინების შემდეგ ბელმაც უამბო, როგორ გაეტარებინა ლამის მთელი ცხოვრება სრულ სიმარტოვეში თუ ქათმების გარემოცვაში. როცა ვაიოლეტს მისგან უარყოფილ ქალზე ეთქვა ქმრისთვის – ჯერაც გოგოსავით გამოიყურებაო, თურმე ისიც დაემატებინა: და არც ჩაცმა-დახურვა ეშლებათ.

თაფლობის თვის მაგვარიც კი არაფერი ჰქონიათ, მაგრამ მთელი წელი ასე აღმა-დაღმა მანქანით სიარულის მერე მაინც იფიქრა, ბელი გადაიღლებოდაო და ზღვისპირას წაიყვანა, სადაც ვაიოლეტთან ერთადაც ბევრჯერ დაესვენა თითო-თითო კვირა. ამჯერადაც იმავე პანსიონში დაბინავდნენ, „სან-სუსიში“. ყოველდღე სეირნობდნენ გრძელ, უკაცრიელ სანაპიროსა თუ ტყის ბილიკებზე, სადაც ტოროლები დახტოდნენ ქვიდან ქვაზე. საღამოს „მოლის ბარში“ სვამდნენ თითო ჭიქას, მანამდე კი ქვიშის ბორცვებს შორის მოკალათებულნი ეფიცებოდნენ შემოდგომის მზეს.

– კარგია, რომ აქ წამოსვლა მოიფიქრე, – გაუღიმა ბელმა: თითქოს ასე დაუფასა ქმარს მისი გაბედნიერების გულწრფელი სურვილი.

– ასე ზამთრის გადაგორება უფრო გაგვიოლდება, ბელ.

იცოდა, ადვილი არ იყო ეს კაცისთვის. სხვა ადგილებს არც იცნობდა, ამიტომაც ჩამოიყვანა აქ. არადა, მშვენივრად ხვდებო-

და წინასწარვე, რა სულიერი განცდის გადატანა ელოდა. სახეზეც ეტყობოდა სწორედ ბელის გამო მორგებული სტოიციზმის ნილაბი. გულის სიღრმეში კი თავს მოლაღატედ თვლიდა, როცა კვლავ ამ ზღვისა და წყალმცენარეების სურნელს გრძნობდა. ხმებიც, პანსიონში რომ ისმოდა, ახლაც იგივე იყო, რაც თავის დროზე ვაიოლეტს ჩაესმოდა. ოქტომბრის თვეში აქ ვაიოლეტსაც ბზის სწორედ ეს სურნელი აბრუებდა და პირველმა სწორედ მან თქვა, ერთი კვირა შემოდგომის მზეზე ნებივრობა ზამთარს უფრო იოლად გადაგვაგორებინესო. ეს ამბავი იმნასვე გაახსენდა, როცა თავადაც სიტყვასიტყვით იგივე გაიმეორა.

– გეტყვი, რაც უნდა ვქნათ, – უთხრა ცოლს. – შინ რომ დავბრუნდებით, ტელევიზორს გიყიდი.

– თვითონ რომ ვერ...

– შენ მომიყვები ხოლმე, ბელ.

კონცხზე შუქურის მახლობლად დასეირნობდნენ; თავის დროზე ალბათ ვაიოლეტსაც შესთავაზებდა ტელევიზორის ყიდვას, მაგრამ ის უთუოდ ეტყოდა – მე კიდევ ზედმეტი სანვალებელი მაკლიაო? უეჭველად შეეკამათებოდა, მაინც სულ გამორთული იქნებაო, ეტყოდა და თან გინდაც ჩართო, სისულელის მეტს რას გიჩვენებნო.

– ძალიან გულკეთილი ხარ, – უთხრა პასუხად ბელმა.

– კარგი ერთი, თუ გიყვარდე.

შუქურას რომ მიუახლოვდნენ, ვილაციის სახელი დაიძახა და ფანჯრიდანაც მაშინვე გამოხედა მეთვალყურემ.

– ერთი წუთი დამელოდეთ, – უთხრა სტუმრებს და ვიდრე კარს გაუღებდა, მიხვდა, მისი ნაცნობის პირველი ცოლი გარდაცვლილიყო.

– დალევთ რამეს? – შესთავაზა უკვე შინ შესულებს, მას მერე, რაც სიკვდილისა და ხელახალი ქორწინების ამბები მოითავეს. ვისკი ჩამოასხა და ბელი მიხვდა, უხმოდ ანეული სამი ჭიქა მის სადღეგრძელოდ უნდა ჩაეთვალა, თუმცა თქმით არავის არაფერი უთქვამს. უკანა გზაზე გაუნვიმდათ; დასვენების ამ ბოლო საღამოს ამინდიც გაჭირვეულდა.